ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N8

დ. ხარაგაული

2019წლის 24 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მალხაზ ფხალაძე-კომისიის თავმჯდომარე
2. ზურაბ ხაჩიძე
3. პაატა გოგოლაძე
4. იულონ კოპაძე
5. დავით მაღლაფერიძე
6. აკაკი მაჭავარიანი
7. თეიმურაზ ფცქიალაძე
8. მიხეილ ჭიპაშვილი
9. ვახტანგ ტალახაძე

დღის წესრიგი: 1.სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამსახურის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციისაგან ინფორმაციის მოსმენამუნიციპალიტეტშიაღნიშნული კუთხიტ არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ღონისძიებების შესახებ.

მომხს: გიორგი კიკალიშვილი- სამსახურის უფროსი

თანამომხს: ნინო სახვაძე- მცენარეთა დაცვის ინსპექტორი

2.ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოსათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N15-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მდებარე ორი ოთახის საერთო ფართი 31.7 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტით) არსებობის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შსახებ.

მომხს: ჯაბა ბერაძე ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის N50/43 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ჯაბა ბერაძე ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი- სამსახურის უფროსი

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში მდებარე 193 კვ.მ; 495 კვ.მ და 599 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პირდაპირი აღნაგობის უფლებით, 2187 ლარად 5 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

მომხს: ჯაბა ბერაძე

V მოისმინეს: .სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამსახურის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციისაგან ინფორმაციის მოსმენამუნიციპალიტეტშიაღნიშნული კუთხიტ არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებლებმა ისაუბრეს ცხოველთა დავადებების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ, სურსათის უვნებლობის შესახებ და ამ კუთხით სამსახურის მიერ გატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მცენარეთა დაცვის კუთხით, კერძოდ აზიური ფაროსანის შესახებ და მის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებძე.

აზრი გამოთქვეს: მალხაზ ფხალაძე დაინტერესდა ცხოველთა დავადებების წინააღმდეგ რა სახის ვაქცინებს ანხორციელებს სახელმწიფო უფასოდ. გიორგი კიკალიშვილმა განმარტა-დავადებები რომლებიც შესაძლოა ცხოველიდან ადამიანებზე გავრცელდეს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა და მათ წინააღმდეგ სახელმწიფო უფასოდ ატარებს ვაქცინაციას, სხვა დავადებების (რომლებიც ადამიანებზე არ გადადის) წინააღმდეგ მოსახლეობა თავიანთი ხარჯით ახდენს აცრებს.

დავით კიკნაძე დაინტერესდა - ვადაგასული საკვების სავაჭრო ქსელში აღმოჩენის შემთხვევაში რა ზომებს ატარებს სამსახური. გიორგი- იწერება ჯარიმა, პროდუქტი ილუქება და ამოიღება ქსელიდან. თუ ობიექტზე სანიტარული ნორმები დაცული არ არის ობიექტი ექვემდებარება დალუქვას მდგომარეობის გამოსწორებამდე.

პაატა გოგოლაძე დაინტერესდა დაბაში მშენებარე ბოინის შესახე, რა ეტაპზეა მისი მშენებლობის საქმე, გიორგი- ბოინს აშენებდა კერძო პირი, ამ ეტაპზე მშენებლობა შეჩერებულია და პრობლემა ამ კუთხით ახლაც არსებობს.

ვახტანგ ტალახაძემ სამსახურის წარმომადგენლებს მიაწოდა მოსახლეობის აზრი, რომ ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები განხორციელდეს გვიან საღამოზე და პრეპარატები ნაკლებ დამაზიანებელი იყოს გარემოსა და სასარგებლო მწერების (ფუტკარი) მიმართ. ნინო სახვაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ხდება მარტო წერტილოვანი შესხურება ფერომონების განთავსების ადგილებზე, თერმული ნისლი ჯერ გამოყენებული არ არის.

იულონ კოპაძე დაინტერესდა რამდენად საიმედოა სარეალიზაციო ქსელში არსებული პრეპარატები და შხამ-ქიმიკატები, ნინო-ნებისმიერი პრეპარატი დარეგისტრირებულია სახელმწიფოს მიერ, სასურველია რომ მათი შეძენა მოხდეს სპეციალურ მაღაზიებში და მათ უნდა ახლდეს ბუკლეტი და ინსტრუქცია.

საბოლოოდ დეპუტატბმა საკითხი ამოწურულად ჩათვალეს და გამოთქვეს კმაყოფილება სამსახურის მიმართ საინტერესო პრეზენტაციისთვის.

V მოისმინეს: .ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოსათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N15-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მდებარე ორი ოთახის საერთო ფართი 31.7 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზურფრუქტით) არსებობის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შსახებ.

მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული ოთახები დღემდე უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემული აქვს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებს,ვინაიდან ეს სამსახური გამოეყო უშუალოდ სამინისტროს და გადავიდა სოფლის მეურნეობის სააგენტოს დაქვემდებარებაში, აუცილებელია ფართის გადაცემაზე საკრებულოს თანხმობა ახალ სუბიექტზე.

დეპუტატებმა: მიხეილ ჭიპაშვილმა, თეიმურაზ ფცქიალაძემ დააყენეს საკითხი, ვინაიდან საკრებულო განიცდის ფართის სივიწროვეს, რამდენიმე კომისია და ფრაქციები ერთ ოთახში არიან განთავსებული, აღნიშნული ფართი გამოყენებული უნდა იქნეს საკრებულოს მიერ. სამსახურისათვის კი მერიამ მოიძიოს სხვა შენობა, მაგალითად ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა.

ჯაბა ბერაძემ აღნიშნა რომ საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს სააგენტოსთან, საერთოდ მოქალაქეებისათვის უმჯობესია სამსახურის არსებობა მერიის შენობაში.

ვალერი ჭიპაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს იურისტების მიერ, ვინაიდან არსებობს ხელშეკრულება.

დაადგინეს: ქონების მართვის სამსახურმა დამატებით მოახდინოს საკითხის შესწავლა და შეთანხმება ქონების მართვის სააგენტოსთან, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება საკრებულოს სხდომაზე.

+ ✓ მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის N50/43 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, მერიაში შემოსულია ინვესტორის განაცხადი სოფელ თეთრაწყაროში, ყოფილი ფერმის შენობის ადგილის შეძენის სურვილი შესახებ. აღნიშნული ტერიტორია შეადგენს 2830 კვ.მ-ს, ტერიტორია შეფასებულია აუდიტის მიერ 8200 ლარად. მერია ითხოვს თანხმობას მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრები და საკრებულოს მაღალი თანამდებობის პირები მოსახლეობის აზრის შესასწავლად იმყოფებოდნენ სოფელ თეთრაწყაროში. შეხვედრა შედგა ე,წ „ნალიების“ ტერიტორიაზე, რომელსაც ესწრებოდა 29 სოფლის მკვიდრი. საკითხის გაცნობის შემდეგ მოსახლეობის მიერ გამოითქვა აზრი, რომ აღნიშნული ტერიტორია არის სოფლის პირუტყვის საძოვარი, მისი გასხვისებით მოხდება მოსახლეობისათვის საძოვრების შემცირება, მათთვის ასევე საფრთხეს წარმოადგენს ამ ტერიტორიაზე რაიმე სახის გარემოსათვის დამაბინძურებელი ქმედება, ვინაიდან იქ არის სხვადასხვა უბნისათვის გამოყენებული სასმელი წყლის სათავეები და მოხდება მათი დაბინძურება. მოსახლეობის თხოვნაა მათი აზრის გათვალისწინება საკითხის განხილვის დროს (მოსახლეობის გამოკითხვის ოქმი თან ერთვის)

დაადგინეს: დებატების შემდეგ კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ მოსახლეობის მოთხოვნა ლეგიტიმური და სამართლიანია და საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვის დროს მხარი დაუჭირო სოფლის მოსახლეობის მოთხოვნას.

V მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში მდებარე 193 კვ.მ; 495 კვ.მ და 599 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პირდაპირი აღნაგობის უფლებით, 2187 ლარად 5 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორია ესაჭიროება ავტომაგისტრალის მშენებელ ჩინურ კომპანიას მუშების საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისათვის. მიწის ნაკვეთების ირგვლივ სხვა ნაკვეთები არის კერძო საკუთრებაში, ხოლო ამ სამ მიწის ნაკვეთს მოსახლეობა ფლობდა არამართლზომიერად. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის მეპატრონეებთან ჩინურმა კომპანიამ უკვე მიაღწია შეთანხმებას იჯარის შესახებ და მთლიანი ფართით სარგებლობის კანონიერი სახის მისაღწევათ მათ მიმართეს ეკონომიკის სამინისტროს, რომლებმაც თანხმობისათვის მომართეს მუნიციპალიტეტის მერიას. ჯაბა ბერაძის განმარტებით მიწის ნაკეთების გადაცემის საკითხში მერიის პოზიცია დადებითია.

აზრი გამოთქვეს: პაატა გოგოლაძემ, თეიმურაზ პცქიალაძემ, რომლებმაც განაცხადეს, ვინაიდან მოსახლეობა მიწას ფლობდა წლების განმავლობაში, არ უნდა მოხდეს მათთვის მიწის ჩამორთმევა და მიწის აღიარების კომისიამ უნდა იზრუნოს მათთვის მიწის დარეგისტრირებაზე.

ჯაბა ბერაძის განმარტებით დღეს მოქმედი კანონის ფარგლებში ვერ ხერხდება საკითხის მოსახლეობის სასარგებლოთ გადაწყვეტა, კომისიის მცდელობის მიუხედავად.

დაადგინეს: მსჯელობის შემდეგ კომისიის წევრები შეთანხმდნენ, საკითხი შესწავლილი იქნას ადგილზე და გადაწყვეტილება მიღებული იქნება მის შემდეგ.

V მოისმინეს: 4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი- სამსახურის უფროსი

მოხსენება თან ერთვის.

აზრი გამოთქვეს: მალხაზ ფხალაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი ანგარიში მშრალი და არასრულყოფილია. მისი გაცნობით დეპუტატები ვერ შეძლებენ სამსახურის საქმიანობის მთლიანი სურათის შეფასებას. დებულებით სამსახურს გაცილებით

მეტი ფუნქცია აქვს ვიდრე ანგარიშშია წარმოდგენილი. მისი აზრით სამსახური ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამთავრებული ან დაუმთავრებელი სამუშაო ტერიტორიების აღდგენისა და დასუფთავების საკითხს (ყოფილი ადმინისტრაციული შენობა წყალაფორეთში, გზები ფარცხნალში, ლახუნდარაში). მშენებარე ობიექტებთან არ არის განთავსებული ბანერები მოსახლეობისათვის საჭირო ინფორმაციის მითითებით. სხვადასხვა სოფლებში კარიერებზე ნებართვების გაცემის საკითში არ ხდება მაჟორიტარი დეპუტატების ინფორმირებულობა და პროცესში ჩართვა.

მიხეილ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ მის სამაჟორიტარო თემში ყველა ობიექტზე არის დატოვებული სამშენებლო ნარჩენები, ფარცხნალში კი ნარჩენები სანიაღვრე არხში ყრია რითაც არხს ფუნქცია დაკარგული აქვს. მან ითხოვა რომ საკითხი უშუალოდ ადგილზე იქნას შესწავლილი და სამსახურმა გაატაროს ზომები პრობლემის გამოსასწორებლად.

ვალერი ჭიპაშვილმა დასვა შეკითხვა სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის სხვა თანამშრომლებს, როგორც კონტროლის ჯგუფის წევრებს თუ აქვთ ერთი დასკვნა მაინც რომელიც ეხება მშენებარე ინფრასტრუქტურული ობიექტებზე ხარვეზების გამოსწორების საკითხს. აღნიშნულ კითხვაზე სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ასეთი დასკვნა არ არის. დეპუტატმა ასევე იკითხა გააჩნიათ თუ არა მუნიციპალიტეტს მიწათსარგებლობის გენ გეგმა, პასუხი იყო რომ ასეთი გეგმა არ გააჩნიათ.

იუზა კელენჯერიძე შეეკითხა სამსახურის უფროსს იყო თუ არა მერიის წინ მდებარე ყოფილი სკვერი უსახური, პასუხი იყო რომ სკვერი უსახური არ იყო. დეპუტატი დაინტერესდა ახალი სკვერის პროექტის მომზადების დროს თუ იყო საქმის კურსში დეპუტატები ან მოსახლეობა. მომხსენებელმა უპასუხა, რომ ის გაცნობილია ამ პროექტს და სხვა თემები მას არ ევალება. ი. კელენჯერიძემ ასევე იკითხა რატომ არ არია ამ და სხვა სკვერებთან ბანერები, დაინტერესებულ ადამიანს წარმოდგენა რომ შეექმნათ თუ რა კეთდება და რა თანხა იხარჯება, მან ასევე იკითხა როგორც სამსახურის უფროსმა დააყენა თუ არა საკითხი მერის წინაშე კიკნაძის ქუჩაზე ჩამონგრეული გზის შესახებ და რა იგეგმება ამ კუთხით.

აფრასიონ ლურსმანაშვილმა თქვა, რომ გზის რეაბილიტაციას ჭირდება ბიუჯეტიდან თანხები, თუმცა საკითხი მის სამსახურს არ ეხება.

დეპუტატები ასევე დაინტერესდნენ უსახური შენობები რატომ არ არის შეფუთული სპეციალური ბადეებით, ან რატომ არ დგება მათი დემონტაჟის საკითხი. სამსახურის უფროსმა განაცხადა რომ ზოგმა მესაკუთრემ გააკეთა რეაგირება მათ წერილზე, მაგალითად „ სოკარმა," ზოგმა არა.

დაადგინეს: მსჯელობის და დებატების შემდეგ კომისიის წევრები შეთანხმდნენ რომ საკითხი ამ ეტაპისათვის შესწავლია და სამსახურის საქმიანობის შეფასება მოხდეს საკრებულოს სხდომაზე.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე /მალხაზ ფხალაძე